

თავი 22 მსოფლიოს უბველესი პროფესია

მოსუცი მწყემსის ამბავმა ჯონათანი სულ დააბნია. ხელისუფლებათა ბაზარი ძალზედ დამაინტრიგებლად ჟღერდა. ამიტომაც გადაწყვიტა, თავადაც წასულიყო და ენახა ვინმე, ვინც ფულის დაბრუნებაში დაეხმარებოდა.

– ამისთანა სანახაობა არ უნდა გამოტოვო, – თქვა მოსუცმა მწყემსმა და ძროხების გასარეკად მოემზადა, – სასახლეში, მოედნის ყველაზე დიდ შენობაში ნახავ ყველაფერს. მთავარი შესასვლელიდან უნდა შეხვიდე. იქ ორ დიდ ფანჯარას შეამჩნევ, რომელთანაც ხალხის რიგი დგას. მარჯვენა ფანჯარასთან ხალხი გადასახადებს იხდის, ხოლო მარცხენა ფანჯრიდან კი პირიქით, გადასახადებიდან შემოსული თანხა გამოაქვთ.

– მგონი ვხვდები რომელი რიგია უფრო პოპულარული, – იხუმრა ჯონათანმა

– მართალი ხარ. ყოველ თვეს ერთი რიგი მოკლდება, მეორე კი, პირიქით, გრძელდება, – თქვა მოსუცმა, წელზე ქამარი მაგრად მოიჭირა და გზა განაგრძო, თან დააყოლა:

– როგორც კი ერთი რიგი გაქრება, მეორეც მას მიჰყვება.

ყველა გზა ქალაქის მთავარი მოედნისკენ მიდიოდა. მოედანზე დიდებული სასახლე იდგა. შესასვლელის კედელზე შემდეგი სიტყვები იყო ამოტვიფრული: „ლორდთა სასახლე“. მაისისი ამჯერადაც იქ იდგა, კუდი აეწია და ჯონათანს სასახლისკენ მიმავალი კიბეებისკენ მიჰყვებოდა. კატას ბეწვი აბურბგნოდა და უცნაურად იფხორებოდა. ამის ზემოთ უკვე მისი ასვლა აღარ შეიძლებოდა.

ჯონათანი სწრაფი ნაბიჯით აუყვა კიბეებს და ბოლოს მოსუცის მიერ ნახსენებ შესასვლელს მიაღწა. მის წინაშე ჩაბნელებული დერეფანი გადაიშალა. ჭერი ისეთი მაღალი იყო, რომ ჭაღებით მთლიანი სივრცე ძლივს ნათდებოდა. დერეფანში, მოსუცის მონაყოლის მსგავსად, ერთმანეთის მიყოლებით დროშებითა და პლაკატებით მორთული ჯისურები იყო ჩამწკრივებული. ჯისურების წინ ადამიანები ბროშურებით ხელში დარბოდნენ და მათ გამვლელებს აჩეჩებდნენ. დერეფნის განაპირა მხარეს დიდი ბრინჯაოს კარი ეკიდა, რომელიც მარმარილოს ქანდაკებებითა და სვეტებით იყო გაფორმებული. ჯონათანმა დერეფანში გზა განაგრძო და ცდილობდა, ხელისუფლებით მოვაჭრეთა თვალში არ მოხვედრილიყო. ორი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, რომ წინ საშუალო ასაკის ქალბატონი გადაეღობა, რომელსაც ხელზე ოქროს დიდი სამაჯურები, ხოლო ყურებზე უზარმაზარი საყურეები ეკეთა.

– გნებავთ, გაიგოთ თქვენი მომავალი? – ჰკითხა მან და ჯონათანს მიუახლოვდა.

ჯონათანმა აღმაცერად შეხედა ჭრელა-ჭრულა შარფითა და სამკაულებით მორთულ, მკერდსავსე ქალს. მერე კი სასწრაფოდ ჯიბეები შეამოწმა, თუმცა კარგად იცოდა, რომ დასაკარგი უკვე არაფერი ჰქონდა.

– მე გულთმისანი ვარ. იქნებ გინდათ, გაიგოთ, რა გელით ხვალ და მომავლის შიში გაიქარწყლოთ?!

– მართლა შეგიძლიათ წინასწარმეტყველება? – დააზუსტა ჯონათანმა. მან ეჭვის თვალით შეხედა ამ თავაშეებულ ქალბატონს და ნელ-ნელა უკან დაიხია. ცდილობდა, მისგან დისტანცია დაეჭირა. ამავე დროს, არ უნდოდა ქალს შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი.

– დიახ, – თავდაჯერებულად უპასუხა ქალმა და თვალები გაუბრწყინდა, – მე ნიშნებს ვსწავლობ და შემდეგ ამის საფუძველზე ვამბობ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. მე ნამდვილად უბველესი პროფესია მაქვს, – დასძინა მან.

– ამისთვის რას იყენებ, გულთმისანო? მაგიურ კრისტალს, ჩაის ფოთლებს თუ . . .

– ველზევულს?! ო, არა! – ზიზღით თქვა ქალმა. – მე უფრო გავიწაფე ამ საქმეში. დღესდღეობით მხოლოდ სქემებსა და გამოთვლებს მივმართავ. თქვენს წინაშე ეკონომისტი, ჩემო ბატონო, – თქვა მან და თავი დაუკრა.

– რა შთამბეჭდავია. ე-კო-ნო-მის-ტი! – თავისთვის გაიმეორა ჯონათანმა, – ვწუხვარ, მაგრამ ეს-ესაა გამძარცვეს და საერთოდ აღარ დამრჩა ფული, რომ გადაგიხადოთ.

ქალმა შეწუხებული სახით შეხედა ჯონათანს, შემდეგ კი გატრიალდა და უფრო პერსპექტიულ კლიენტებს დაუწყო ძებნა.

– ქალბატონო, მართალია, ფულს ვერ გიხდით, მაგრამ იქნებ ერთ კითხვაზე გამცეთ პასუხი? – სთხოვა ჯონათანმა.

– კარგი, – თქვა ქალმა გაღიზიანებული ხმით.

– რჩევის მისაღებად, ძირითადად, როდის მოგმართავენ?

მკითხავმა მიმოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მათ არავინ უსმენდა. შემდეგ კი ჩურჩულით უთხრა:

– რადგან ჩემთვის ფულის გადახდა არ შეგიძლია, ერთ პატარა საიდუმლოს გაგანდობ. კლიენტები მაშინ მოდიან, როცა სურვილი უნდათ, თავი დაიზღვიონ მომავალში. მიუხედავად იმისა, კარგს უწინასწარმეტყველებ თუ ცუდს, განსაკუთრებით კი, თუ პროგნოზი ცუდია, ადამიანი ბედნიერია, ვინაიდან წინასწარმეტყველებაზე დაყრდნობით ყოველთვის შეძლებს გამართლება მოუნახოს მოვლენებს.

– წინასწარმეტყველებისთვის ფულს ვინ გიხდის? – იკითხა ჯონათანმა.

– ლორდას საბჭო საუკეთესო კლიენტია. – ამაყად განაცხადა ქალმა, – ის კარგად მიხდის... რასაკვირველია, სხვა ადამიანების ჯიბიდან. შემდეგ კი წინასწარმეტყველებებს მოხსენებებში აუღერებენ და ამით ცდილობენ გამართლება მოუნახონ ავბედითი მომავლისთვის მზადების მიზნით გადასახადების ზრდის აუცილებლობას. ეს მათთვისაც მომგებიანია და ჩემთვისაც.

– ეს ძალიან საპასუხისმგებლო საქმე უნდა იყოს. რამდენად ზუსტია თქვენი წინასწარმეტყველება?

– გაგიკვირდება, მაგრამ ამ კითხვას იშვიათად თუ მისვამს ვინმე, – ჩაიქირქილა ქალმა, შემდეგ კი ყურადღებით შეხედა ჯონათანს თვალებში და უთხრა:

– სიმართლე გითხრა, შეგიძლია ჰაერში მონეტა ააგდო და უკეთესი წინასწარმეტყველებაც მიიღო. მონეტის აგდება ხომ ყველას შეუძლია. მაგრამ ამას არანაირი სიკეთე არ მოაქვს ადამიანისთვის. ეს ვერც უიღბლოს გააბედნიერებს, ვერც მე გამამდიდრებს და ლორდებსაც ვერ მიანიჭებს ძალაუფლებას. ასე რომ, ამ ხალხის გულის მოსაგებად შთამბეჭდავი და ჩახლართული პროგნოზების შეთხზვა მიწვევს. მე თუ არ გავაკეთებ ამას, ისინი სხვას მონახავენ.

„ჰმ, მართლაც მსოფლიოს უძველესი პროფესია ყოფილა მკითხაობა“. – გაიფიქრა ჯონათანმა.